განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

,,ციფრული მედია და ინოვაციები“
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 7-8 მარტი, 2022 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 19 აპრილი, 2022 წ.

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548 245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ციფრული მედია და ინოვაციები Digital Media and Innovations
უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ჟურნალისტიკის მაგისტრი Master of journalism
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა 0321 Journalism and Reporting
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით	ახალი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დანელია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ცომაია, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ გაგუა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით მღებრიშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული მედია და ინოვაციები“ ორი უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაა, რომელიც მიზნად ისახავს მედია ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიციური ჟურნალისტების მომზადებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

7 მარტს ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა სააკრედიტაციო პროგრამის განმახორციელებელ ორივე უნივერსიტეტში. ჯგუფის წევრების ნაწილი ეწვია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ხოლო ნაწილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ორივე უნივერსიტეტში ვიზიტისას ჰქონდათ ერთმანეთთან ონლაინ კავშირი და ორივე ჯგუფს ქონდა ორივე უნივერსიტეტში ვიზიტზე დასწრების საშუალება ჰიბრიუდულ რეჟიმში. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ორივე უნივერსიტეტის შესაბამისი სასწავლო ინფრასტრუქტურა, რომელიც აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარითა და საინფორმაციო–საკომუნიკაციო საშუალებებით. მათ შორის, სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზი, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრი, რომელიც აერთიანებს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ტელე და რადიო სტუდიებს, ე.წ.

ნიუსრუმსა და სამონტაჟო ოთახებს, ხმის ჩამწერ სტუდიას და სხვ. ასევე, ბსუ-ს ტელესტუდია, კომპიუტერული რესურს-ცენტრი და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა ბიბლიოთეკების სამკითხველო დარბაზები, დაათვალიერა საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები და სტუდენტების საკომუნიკაციო ელექტრონული პორტალები.

8 მარტს ზუმის პლატფორმის გამოყენებით შედგა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, უნივერსიტეტებისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე სფეროების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, ბიბლიოთეკების წარმომადგენლებთან, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. ექსპერტთა ჯგუფმა დასვა ახალ პროგრამასთან დაკავშირებული კითხვები, რათა უნივერსიტეტების მიერ წარდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით განესაზღვრა პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან.

ექსპერტული დასკვნის მომზადების შემდეგ, 18 აპრილს მივიღეთ თსუ-ს არგუმენტირებული პასუხი. წერილის თანახმად, სრულად გაზიარებულია მე-9 რეკომენდაცია, რომელიც ახალი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამისთვის ცალკე ბიუჯეტის გამოყოფას გულისხმობს და ნაწილობრივ გაზიარებულია მე-4 და მე-6 რეკომენდაცია, რომლის აუცილებლობა დადგა ერთის მხრივ, პროგრამის სწავლის შედეგებისა და მეორე მხრივ, სტუდენტთა პრაქტიკული/ საშემსრულებლო უნარების განვითარების რეალურად და უკეთ მიღწევისთვის.

ექსპერთა სააკრედიტაციო ჯგუფმა იმსჯელა მიღებულ წერილზე და პასუხები დააჯგუფა სამ ნაწილად. პირველი ნაწილი შეეხება პროგრამის შინაარსს (რეკ. 2, 4, 5, 6); მეორე - პროგრამაზე მიღების წინაპირობებსა და სასწავლო რესურსებს (რეკ. 1, 7, 8). მესამე - სააკრედიტაციო პროგრამის ტიპს (რეკ.3).

პროგრამის შინაარსი

რეკომენდაცია 2 (კომპონენტი 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი). მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტურ ღირებულებებს შორის ძალაუფლების მქონე ჯგუფებისგან, მათ შორის პოლიტიკური ჯგუფებისგან დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი ჟურნალისტებისთვის, ინტერვიუების დროს, რამდენჯერმე აღინიშნა, რომ სტუდენტების მუშაობა სამთავრობო უწყებებისთვის და მათი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება ჟურნალისტურ ფუნდამენტურ ღირებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელი და დაუშვებელია ადამიანის შეზღუდვა სამუშაო ადგილის არჩევისას, ასევე წინასწარ შეუძლებელია სტუდენტისთვის მომავალი სამუშაო ადგილის განსაზღვრა, სასწავლო პროცესში ჟურნალისტს მკაფიოდ უნდა ესმოდეს, რომ მისი უპირველესი ამოცანა სწორედ მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობაა ძალაუფლების წყაროებისგან იმისათვის, რომ სამომავლოდ მაინც დაძლეულ იყოს პოლარიზაცია მედიაში და მეტად პროფესიული მედია გარემო შეიქმნას ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, როდესაც პროგრამაში დასაქმებულები არიან სწორედ დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით გამორჩეული პრაქტიკოსები,

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ყველა განმახორციელებელი მტკიცედ იზიარებდეს პროფესიულ ღირებულებებსა და სტანდარტებს და ამასვე გადასცემდეს სტუდენტებს. ექსპერტთა ჯგუფი ვერ ცვლის აღნიშნულ რეკომენდაციას.

რეკომენდაციები 4 და 5 (კომპონენტი 2.3 სასწავლო კურსი) და, ასევე 6 (2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება) ეხება პროგრამის შინაარსობრივ მხარეს. უნივერსიტეტის საპასუხო წერილში ჩამოთვლილია ის კურსები, სადაც ექპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებული საკითხები (მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია, ასევე კიბერუსაფრთხოება) უნდა ისწავლებოდეს სასწავლო შედეგის სრულად მიღების მიზნით, არ ისწავლება სათანადოდ. მითითებული სასწავლო კურსების ფარგლებში არ არის საუბარი დიდი მონაცემების დამუშავებასა, ანალიზზე და მათ ვიზუალიზაციაზე, მაგ: ინფოგრაფიკის ელემენტები ან საჯარო ინფორმაციის ვიზუალიზაცია აუდიტორიისთვის გასაგებ ენაზე. ეს ერთი მხრივ გახლავთ ბაზრის მოთხოვნა წლიდან წლამდე - მედია მენეჯერები და ჟურნალისტები ითხოვენ სწორედ მონაცემთა ანალიზისა და ვიზუალიზაციის უკეთ ცოდნას და მეორე მხრივ, დიდი მონაცემების დამუშავება და აუდიტორიისთვის გასაგებად წარმოდგენა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ თანამედროვე აუდიტორია უკეთ გაერკვეს ინფორმაციის დიდ ნაკადებში.
ასევე, არგუმენტირებულ პასუხში ჩამოთვლილ კურსების ფარგლებში არაჯეროვნად არის დაფარული კიბერუსაფრთხოების საკითხები (მაგ. საგნის ,,კიბერკულტურა და ჟურნალიზმი“ სილაბუსის მიხედვით, კიბერუსაფრთხოების საკითხებს ეთმობა მხოლოდ ერთი ლექცია). სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გარდა, მნიშვნელოვანია, რომ მომავალმა ჟურნალისტება იცოდნენ კიბერუსაფრთხოების ისეთი თემები, როგორიცაა: ქსელური პროტოკოლების და სერვისების შექმნა, კიბერუსაფრთოხების პოლიტიკა და პროცედურები, ჟურნალისტების ქცევის წესები, მონაცემთა მოპოვების, შენახვა/დაცვის სისტემები, კიბერთავდასხმისგან დაცვის მეთოდები, კიბერჰიგიენის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: კომპიუტერული უსაფრთხოების წესები, მათ შორის სამუშაო კომპიუტერის, ელექტრონული ფოსტის უსაფრთხოება, უკაბელო ინტერნეტის უსაფრთხოება, ფიშინგის საფრთხეები და ა.შ. ასევე, უშუალოდ, კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მსოფლიოს და საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო, საერთაშორისო კონვენციები, საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი ვერ იზიარებს უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ პასუხებს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და მატერიალური რესურსი

სტუდენტთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (**რეკომენდაცია 1; კომპონენტი 2.1**), მათი მიღების მკაფიო წესებისა და კრიტერიუმების არსებობა პროგრამული აკრედიტაციისთვის მნიშვნელოვანი პირობაა. ამ რეკომენდაციის საჭიროება დადგა შესაბამისი დოკუმენტაციისა და ინტერვიუებში გაჟღერებული არათანხვედრი პასუხების მიზეზით, რომელთა დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამაზე სტუდენტთა მისაღებ ერთიან წესებს სჭირდებოდა დახვეწა. არგუმენტირებულ პასუხში ნახსენები საგამოცდო ბილეთი, რომლის დამატებით წარმოდგენაც ითხოვა კომისიამ, არ

ყოფილა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, თსუ-ს საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ მისაღებ პროცედურებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს შეიმუშავებს კომისია პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ და სწორედ აღნიშნული პროგრამისთვის. ცხადია, ექპერტთა ჯგუფმა შიდასაუნივერსიტეტო მიღების წესში სწორედ კონკრეტული პროგრამა და არა სხვა პროგრამებზე სტუდენტთა მიღების წესი იგულისხმა. შესაბამისად, ექპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა რაიმე ხელის შემშლელი ფაქტორი, რაც შეიძლება ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებული იყოს მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ.

რაც შეეხება მე-7 და მე-8 რეკომენდაციის (კომპონენტი 4.3) რჩევად წარმოდგენას, ამ საკითხთან დაკავშირებით ექპერტთა ჯგუფმა დასკვნის მომზადების ეტაპზევე იმსჯელა და მივიჩნიეთ, რომ სასწავლო ლიტერატურის დროულად შესყიდვა და უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში ყველა დანაკლისის შევსება პირდაპირ უკავშირდება პროგრამის სტუდენტებისთვის სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობას და სასწავლო პროგრამის წარმატებას. იქიდან გამომდინარე, რომ საბიბლიოთეკო ბაზებში იყო დანაკლისი, ხოლო ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ამ დანაკლისის შევსება სამომავლოდ იგეგმებოდა, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, რომ სტუდენტების სასწავლო მასალით დროული უზრუნველყოფა სწორედ სავალდებულო და არა არჩევითი ხასიათის ყოფილიყო, რომ არ დამდგარიყო სასწავლო პროცესის არასრული რესურსებით დაწყების საფრთხე. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მე-7 და მე-8 რეკომენდაცია სავალდებულო ხასიათისაა.

სააკრედიტაციო პროგრამის ტიპი

მე-6 რეკომენდაცია ეხება ერთობლივი პროგრამის თავისებურებების უკეთ გათვალისწინებას პარალელური პროცესების ნაცვლად. ექსპერტთა ჯგუფი დასკვნის მომზადების ეტაპზე გაეცნო ერთობლივი პროგრამების აკრედიტების თავისებურებებს, სადაც გამოკვეთილია, რომ ერთობლივი პროგრამის სტუდენტებმა, პროგრამის განმახორციელებელი უნივერსიტეტების წინასწარი შეთანხმებით უნდა გაიარონ გარკვეული რაოდენობის კურსები პარტნიორ უნივერსიტეტებში. ამასვე ამბობს საერთაშორისო გამოცდილებაც (https://ekka.edu.ee/wp-content/uploads/Guidelines-joint-study-programmes.pdf). აღნიშნულ პროგრამაზე სასწავლო პროცესი კი უფრო გავს ორ პარტნიორ უნივერსიტეტში პარალელურ სასწავლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ მობილობის განხორციელება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ახალი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „ციფრული მედია და ინოვაციები“ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან. კერძოდ,

- პროგრამის პირველი სტანდარტის - პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები 1.1 და 1.2. კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- პროგრამის მეორე სტანდარტის - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - 2.5 და 2.6 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამავე სტანდარტის კომპონენტები 2.1., 2.2., 2.3 და 2.4 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- პროგრამის მესამე სტანდარტის - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - 3.1 და 3.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- პროგრამის მეოთხე სტანდარტის - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - 4.1 და 4.2კომპონენტები შესაბამისობაში, ხოლო კომპონენტები 4.3 და 4.4 მეტწილად, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- პროგრამის მეხუთე სტანდარტის - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები:
იმისათვის, რომ ახალმა ერთობლივმა სამაგისტრო პროგრამამ „ციფრული მედია და ინოვაციები სრულყოფილად მიაღწიოს დასახულ მიზნებს, მიიღოს დაგეგმილი სასწავლო შედეგები და სრულად იყოს მორგებული როგორც პროგრამის სტუდენტის ინტერესებსა და საჭიროებებს, ისე სფეროს მოთხოვნებს და ზოგადად, ხელი შეუწყოს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესს მიუკერძოებელი, შესაბამისი ღირებულებებით, პრინციპებითა და უნარებით აღჭურვილი კურსდამთავრებულების გამოშვებით, პროგრამის აკრედიტაციო ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, რომ ორივე უსდ-მ შეიმუშაოს შიდასაუნივერსიტეტო სამაგისტრო მიღების წესის შესაბამისი დოკუმენტაცია, წერილობითი ტექსტის ან ზეპირი ინტერვიუსთვის.

2. რეკომენდებულია, რომ მოხდეს პროგრამის მეორე მიზნის შესაბამისი შედეგების გაძლიერება და გამოკვეთა, რაც გულისხმობს, ჟურნალისტის/ ჟურნალისტიკის როლის მნიშვნელობის გააზრებას დემოკრატიის განვითარებაში. უფრო ნათლად უნდა გამოიკვეთოს ციფრულ მედიაში ჟურნალისტის/ჟურნალისტიკის თვისებები, მისია და ჟურნალისტის მიერ ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების დინამიკა.

3. რეკომენდებულია, რომ ერთობლივი პროგრამის ფარგლებში მოხდეს აკუმულირებული ცოდნის გაზიარება და გაცვლა ნაცვლად პარალელური პროცესების წარმოებისა: შეიქმნას ისეთი მოქნილი სტრუქტურა, რომლის საშუალებითაც ერთობლივი პროგრამის სტუდენტს ექნება პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, ყველა პარტნიორ დაწესებულებაში სწავლის ვალდებულება სხვადასხვა კომპონენტებზე. მაგალითად პირველ სემესტრს გაივლის თსუ-ში, მეორეს - ბსუ-ში და ა. შ.

4. რეკომენდირებულია ორ არჩევითი კურსი - „კიბერკულტურა და ჟურნალიზმი“ და „მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია“ გადავიდეს სავალდებულო საგნების ნაწილში, რათა პროგრამის სწავლის შედეგი იყოს მიღწევადი.

5. რეკომენდებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა განიხილონ კიბერ უსაფრთხოების ცალკე საგნად სწავლება ან თემის ჯეროვნად ინკორპორირება შესაბამის სასწავლო კურსებში.

6. რეკომენდირებულია ორ არჩევითი კურსი - „კიბერკულტურა და ჟურნალიზმი“ და „მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია“ გადავიდეს სავალდებულო საგნების ნაწილში, რათა პრაქტიკული/საშემსრულებლო უნარების განვითარება იყოს რეალურად მიღწევადი.

7. რეკომენდებულია, რომ სწავლების დაწყებამდე, პროგრამის ხელმძღვანელებმა კიდევ ერთხელ შეამოწმონ სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა და შეავსონ ყველა შესაძლო დანაკლისი.

8. რეკომენდებულია, რომ სწავლების დაწყებამდე პროგრამის ხელმძღვანელებმა გააკონტროლონ დაგეგმილი შესყიდვების დროული განხორციელება, რათა სტუდენტს ქონდეს კურსით გათვალისწინებულ მასალაზე დაუბრკოლებლად წვდომა და შეძლოს დაგეგმილი სასწავლო შედეგის მიღება.

9. რეკომენდებულია, რომ ახალ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას ჰქონდეს ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტი და წინასწარ იყოს განსაზღვრული ბიუჯეტის ძირითადი კომპონენტები, მაგ: სავარაუდო/მოსალოდნელიხარჯები და შემოსავლები, რათა თავიდან იქნას აცილებული პროგრამის განხორციელებისას წარმოშობილი შესაძლო ფინანსური სირთულეები

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია, რომ პროგრამის მიზნებში უფრო მეტად გამოიკვეთოს ჟურნალისტის როლის მნიშვნელობა დამოკრატიული საზოგადოებისათვის ან როგორც დღევანდელი, ისე მომავალი ჟურნალისტის ანტრეპრენერის როლი.

2. სასურველია ავტომატიზირებული სისტემების მუდმივი გადამოწმება. შეფასების სისტემებში თვითშეფასებისა და თვითრეფლექსიის გაძლიერება.

3. სასურველია, რომ შენარჩუნებული იყოს საუკეთესო სტარტი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიმართულებით, როგორც ამერიკული, ისე ევროპული მაგალითებით. რეკომენდებულია უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის გაწევრიანება პროფესიულ ასოციაციაში, მაგალითად (EJTA https://www.ejta.eu/) ეს ასოციაცია ევროპის 75 ზე მეტი ქვეყნის უნივერსიტეტის ჟურნალისტ განმანათლებლების ერთობაა. ამ ასოციაციის წევრები არიან საქართველოს ორი უნივერსიტეტი- ჯიპა და საქართველოს უნივერსიტეტი, რომლებიც ყოველწლიური

კონფერენციებისა და სხვადასხვა ერთობლივ პროექტებში მონაწილეობით მუდმივად ეუფლებიან ახალ ცოდნას, სწავლების სიახლეებსა და ეცნობიან დარგის გამოწვევებს.

4. სასურველია რომ მოხდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გეგმის შემუშავება და შესაბამისი აქტივობების წარმოება. სასურველია აკადემიური დამოუკიდებლობის პრიორიტეტიზაცია და ამისათვის შესაბამისის გეგმის შემუშავება.

5. სასურველია აკადემიური და განსაკუთრებით მოწვეული პერსონალის უკეთ ინფორმირება შეფასების სისტემების შესახებ.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით იკვეთება, რომ „ციფრული მედია და ინოვაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება ორივე (თსუ; ბსუ) უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს, ჩამოყალიბებულია ნათლად და მკაფიოდ, არის ორიენტირებული დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. „ციფრული მედია და ინოვაციების“ სამაგისტრო **პროგრამის მიზანია:** - სტუდენტს მისცეს სიღრმისეული ცოდნა ციფრული მედიის ფუნქციონირების, მართვის უახლესი ტრენდების, შინაარსის მომზადების ინოვაციური მიდგომებისა და გავრცელების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ; - გამოარჩიოს და განავითაროს ციფრული ჟურნალისტიკა, როგორც სიმართლის მოძიებისა და გავრცელების დარგი მასობრივი კომუნიკაციის დიგიტალურ სამყაროში; - აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის დაცვით შემენილი ცოდნისა და უნარების გამოყენება საზოგადოებრივი და დარგობრივი პრობლემების გადაჭრისთვის.

მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ზოგადი განაცხადია, მისი შინაარსი გამოხატავს პროგრამის კონცეფციის არსებით, ძირითად მიმართულებებს. პროგრამაში აღნიშნული მიზნები რეალისტური და მიღწევადია, ვინაიდან ასახავს და ეხმიანება დარგის სპეციფიკასა და ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ეყრდნობა თეორიულ ცოდნას მასობრივ კომუნიკაციებში, რაც სამაგისტრო პროგრამისთვის აუცილებელი პირობაა. ასევე იყენებს ადგილობრივ ექსპერტიზას, რომელიც დაგროვილია პრაქტიკოს კომუნიკატორებსა და ჟურნალისტებში, განსაკუთრებით აჭარის რეგიონში. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ პროგრამა ეყრდნობა ციფრული მედიის სწავლების კუთხით წამყვანი ქვეყნების გამოცდილებას. აღსანიშავია რომ პროგრამის შემუშავებაში ადგილი ჰქონდა აშშ-ს უნივერსიტეტების პროფესორთა ჩართულობას, რომელიც საქართველოში ამერიკის საელჩოს მხარდაჭეროთ ხორციელდებოდა. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის შემუშავებისას გაითვალისწინებს ევროპული გამოცდილება და ევროპულ უნივერსიტეტებთან მომავალი თანამშრომლობა. აღსანიშნავია, ასევე საქართველოს ორი უნივერსიტეტის ძალთა გაერთიანების მობილიზაცია, რაც გამოიხატა მენეჯმენტის მხარდაჭერაში, ასევე ორი უნივერსიტეტიდან პროგრამის შემუშავების დროს ჩართულობის ინტენსივობასა და თანამშრომობის მაღალ მოტივაციაში, რაც სიტყვიერად არაერთგზის იქნა გაჟღერებული. ყოველივე ხელს შეუწყობს დასახული მიზნების განხორციელებას. მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, შეესაბამება ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია https://old.tsu.ge/ge/about/mission_statement (ბოლი ნახვა 11.08.2021); - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა https://www.tsu.ge/data/file_db/PR/2018-2024_93990.pdf (ბოლი ნახვა 21.08.2021); - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/strategia%20.pdf (ბოლი ნახვა 21.08.2021); - ციფრული მედია და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამა; - „ციფრული მედია და ინოვაციების“ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება; - დასაქმების ბაზრის კვლევა; - შედარების დოკუმენტი; - ბსუ-ს მისია https://www.bsu.edu.ge/main/page/2-416/index. html (ბოლი ნახვა 21.08.2021); - ბსუ-ს სტრატეგიული გეგმა https:// www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_60_1.pdf (ბოლი ნახვა 21.08.2021); - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის №40 დადგენილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“. - ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა https:// www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_46_1.pdf (ბოლი ნახვა 21.08.2021);
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, რომ პროგრამის მიზნებში უფრო მეტად გამოიკვეთოს ჟურნალისტის როლის მნიშვნელობა დამოკრატიულ საზოგადოებისათვის ან როგორც დღევანდელი, ისე მომავალი ჟურნალისტის ანტრეპრენერის როლი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
აღწერა და შეფასება პროგრამის სწავლის შედეგები გასაგებად არის ჩამოყალიბებული. კურიკულუმის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ მიაღწიონ სწავლის შედეგებს; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, შესაძლებელია გაზომვადი ინდიკატორებით. შეფასების შედეგების გამოყენების შესაძლებლობა პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოკვეთილია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ინტერვიუებისა და ვიზიტის შედეგად შესაძლებელია აღვნიშნოთ რომ მოცემული პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სწავლების საფეხურს. სწავლის შედეგები მიღწევადი რეალისტური და გაზომვადია, ეფუძნება ბაზრის ანალიზს. სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი, მომიჯნავე დარგის სტუდენტები და კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. გათვალისწინებული იყო მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკა და საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობა პროგრამის შეფასებაში. პროგრამა სამი მიზნის მიღწევას 11 შედეგზე გასვლით გეგმავს. პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, სასურველია მიზნებისა და შედეგების ფორმულირების მეტი ჰარმონიზება. მაგალითად, პროგრამის მეორე მიზანს წარმოადგენს: გამოარჩიოს და განავითაროს

ციფრული ჟურნალისტიკა, როგორც სიმართლის მოძიებისა და გავრცელების დარგი მასობრივი კომუნიკაციის დიგიტალურ სამყაროში.
პროგრამის ერთ-ერთი შედეგი, რომელიც ამ მიზნის მიღწევასთან ასოცირდება, საჭიროებს დაკონკრეტებას. ეს შედეგი ამბობს, რომ სტუდენტი:

- გეგმავს ინტერნეტ - მედიაპროექტებს, შეარჩევს კომუნიკაციის სტრატეგიებს და აანალიზებს ციფრული მედიის აუდიტორიას, მედიასისტემების როლს დემოკრატიზაციისა და საზოგადოების განვითარების პროცესში;

აქ უმჯობესი იქნებოდა გამოკვეთილიყო არა ზოგადად მედიასისტემების როლი დემოკრატიზაციის და საზოგადოების განვითარების პროცესში არამედ უფრო კონკრეტულად, ჟურნალისტიკის როლი - რა როლი აქვს ჟურნალისტიკას, ფაქტებზე დაფუძნებელი ინფორმაციის შეგროვებას, ამ ინფორმაციის მიუკერძოებლად გადამუშავებასა და აუდიტორიისთვის გასაგები ფორმითა და მოსახერხებელი პლატფორმებით გავრცელებას საზოგადოების განვითარებისა და დემოკრატიზაციის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგები მიესადაგება ერთმანეთს. პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ლოგიკურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსების კავშირს სწავლის შედეგებთან.

პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვა ხდება მონაცემთა განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზის გზით. პარტნიორ უნივერსიტეტებში საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხდება პროგრამით განსაზღვრულ მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის დადგენით.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება არსებული სწავლის შედეგების რუკა, სტუდენტთა დასწრება, გამოცდების შედეგები და ანალიზი, სტუდენტთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და დამსაქმებელთა გამოკითხვა. პროგრამის შეფასებაში მონაწილეობენ ასევე, კურსდამთავრებულებიც, ტარდება მათი ელექტრონული ფორმით გამოკითხვა.

აღსანიშნავია, ასევე, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში ჩართულები არიან ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, რომლებიც სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებენ, რაც გულისხმობს მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ეფექტური ელექტრონული მონიტორინგის სისტემის არსებობა და მისი დახვეწის სურვილი და შესაძლებლობები. გამოიკვეთა ასევე ელექტრონული და ავტომატიზირებული სისტემების შემოწმების მნიშვნელობის გააზრება ადამიანური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ანალიზისა და რეკომენდაციების განხილვა დარგობრივ დეპარტამენტებში, ფაკულტეტების საბჭოსა და უნივერისიტეტების აკადემიური საბჭოს სხდომებზე. ეს სისტემები ჩამოყალიბებულია არსებობს და მათი მესვეურები აცხადებენ, რომ პასუხისმგებლობას იღებენ პროცესზე.

გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროფესორების და პროგრამის ხელმძვანელების გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებულია შედეგების სამიზნე ნიშნულები. პროგრამის მესვეურები აცნობიერებენ

სწავლის შედეგების რუკისა და იმ სასწავლო კურსების გადახედვის მნიშვნელობას. აღსანიშნავი იყო სტუდენტების დადებითი უკუკავშირი ინტერვიუების დროს, საუბრის მიხედვით, ისინი კმაყოფილი ჩანდნენ თავისი მონაწილეობის დონითა და ინტენსივობით. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტები, ისე შეხვედრების შედეგები აჩვენებს, რომ პროგრამის მესვეურები ღია არიან სასწავლო კურსების გაუმჯობესებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ციფრული მედია და ინოვაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ; - სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სილაბუსები; - შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; - მიმართულების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ფოკუს ჯგუფის შედეგების ანალიზი; - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“; - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის №23 დადგენილება „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_9721_1.pdf; (ბოლი ნახვა 21.08.2021); - სტუდენტთა გზამკვლევი https:// bsu.edu.ge/main/page/2-269/index.html (ბოლი ნახვა 21.08.2021); - სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (რუკები)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -სასურველია ავტომატიზირებული სისტემების მუდმივი გადამოწმება. შეფასების სისტემებში თვითშეფასებისა და თვითრეფლექსიის გაძლიერება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და	x			

მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
აღწერა და შეფასება წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტაციაში ნათლად არის აღწერილი პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელი მოთხოვნები და რეგულაციები, რომელიც ორი სასწავლო დაწესებულების თანამშრომლობას ეფუძნება. პროგრამის ხელმძღვანელებს გააზრებული აქვთ თუ რა ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირების მიღება სურთ პროგრამაზე. მათი სურვილი თანხვედრაშია ბაზრის კვლევით გამოვლენილ საჭიროებასთან აჭარის რეგიონში მსგავსი პროგრამის შექმნის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. პროგრამაზე მიღების გამოცხადების და ჩარიცხვის წესები, ასევე კოორდინაცია პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის დეტალურად არის გაწერილი და ეფუძნება კანონმდებლობით დადგენილ წესებს. „ციფრული მედია და ინოვაციების“ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობების გამჭვირვალეობა უზრუნველყოფილია სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესებით. პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მიღებას აცხადებს თსუ კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამაგისტრო ერთობლივ პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობას კი განსაზღვრავენ პარტნიორი უნივერსიტეტები, მმართველი კომისიის გადაწყვეტილებით. უნივერსიტეტები თანხმდებიან გარე და შიდა მობილობის წესით სტუდენტთა მიღებაზეც. „ციფრული მედია და ინოვაციების“ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. პროგრამაზე ჩარიცხის ბრძანება გამოიცემა თსუ-ს მიერ და ჩარიცხული სტუდენტი ითვლება პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტად. თუმცა, გასაუბრებების პროცესში გამოჩნდა, რომ ბუნდოვანია სტუდენტების მიღების წესი. ახალი ერთობლივი პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ ორივე უსდ-მ შეიმუშაოს შიდასაუნივერსიტეტო სამაგისტრო მიღების წესის შესაბამისი დოკუმენტაცია, როგორიცაა წერილობითი ტექსტი ან ზეპირი ინტერვიუსთვის კრიტერიუმების ჩამოყალიბება.

მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წესები და პირობები დამტკიცებული და გამყარებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტებით, როგორც ზემოთ აღინიშნა ყოველთვის არ არის გამყარებული შესაბამის დოკუმენტაციით. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ ორივე უსდ-მ შეიმუშაოს შიდასაუნივერსიტეტო სამაგისტრო მიღების წესის შესაბამისი დოკუმენტაცია.

მაგალითად, დოკუმენტაციის მიხედვით შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა გულისხმობს ენის ფლობის (B2) დონის დასადგენ ტესტირებასა და წერით გამოცდას სპეციალობაში. ამ ტესტის ნიმუში წარმოდგენილი უნდა იყოს. იგივე ეხება შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის ამსახველ დოკუმენტს. სასურველია ნიმუშების საჯაროდ გამოქვეყნება. რაც ხელს შეუწყობს მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის სწორი მოლოდინების შექმნას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აღნიშნულია, რომ პროგრამის მოთხოვნების გაცნობა ხდება უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებული ღია კარის დღეების ფარგლებში. ინფორმაციის გავრცელების მიზნით გამოიყენება ასევე საინფორმაციო ბუკლეტები და საინფორმაციო ვიდეორგოლი, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, „ციფრული მედიისა და ინოვაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორივე უნივერსიტეტში პარალელურად და ერთიანი სასწავლო გეგმისა და სილაბუსების შესაბამისად. სტუდენტებს შეუძლიათ პრაქტიკისა და კვლევითი კომპონენტი გაიარონ პარტნიორი უნივერსიტეტების ბაზაზე და პარტნიორ ორგანიზაციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ციფრული მედია და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამა;
- „ციფრული მედია და ინოვაციების“ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი http://www.tsu.ge (ბოლი ნახვა 20.08.2021);
- ბსუ-ს ვებგვერდი https:// bsu.edu.ge/main/page/13742/index.html (ბოლი ნახვა 20.08.2021);
- საინფორმაციო ვიდეორგოლი https:// bsu.edu.ge; (ბოლი ნახვა 20.08.2021);
- ბსუ მაგისტრატურაში მიღების წესი;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 21 ივლისის ბრძანება №01-08/37 ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანება ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №98/ნ ბრძანება საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ ორივე უსდ-მ შეიმუშაოს შიდასაუნივერსიტეტო სამაგისტრო მიღების წესის შესაბამისი დოკუმენტაცია, წერილობითი ტექსტის ან ზეპირი ინტერვიუსთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
აღწერა და შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებულ ნორმებს. ნათლად არის წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტაცია მკაფიოდ განსაზღვრავას ორი უნივერსიტეტის თანამშრომლობის პირობებში ვის მიერ და რა პროცედურების დაცვით მოხდა/ მოხდება პროგრამის მართვა, ცვლილებების ინიცირება. ნათელია პროგრამის შემუშავებაში განაწილებული ფუნქია- მოვალეობები, სხვადასხვა აქტივობები და ინსტრუქციები. ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ პროგრამის დაგეგმვის დროს საქმის კურსში იყვნენ მომიჯნავე სფეროების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები და მათი წარმომადგენლები, პოტენციური დამსაქმებლები, სფეროში მოღვაწე ექსპერტები, პრაქტიკოსი სპეციალისტები, პარტნიორი ორგანიზაციები. პროგრამის შინაარსი შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს; პროგრამა ეყრდნობა შრომის ბაზრის, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან,

სფეროში მომუშავე ექსპერტებთან და პრაქტიკოსებთან ჩატარებულ კვლევის შედეგებს; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა გააზრებულია, თუმცა საჭიროებს დაზუსტებასა და დახვეწას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა იმგვარად არის შედგენილი, რომ შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევა. თუმცა სასურველია, მაგალითად გარკვეული კურსის სავალდებულო სწავლება, რომელიც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სასურველ შედეგებზე გასვლას. სასურველია, რომ სილაბუსში „კიბერკულტურა და ჟურნალისტიკა“ გამოიკვეთოს ეთიკის ფუნდამენტური პრინციპები, რადგან ჟურნალისტური ეთიკა წარმოადგენს ჟურნალისტიკის/ ჟურნალისტის მთავარ საყრდენს, მამოძრავებელ ძალასა და ორიენტირს. ამ სილაბუსის დამატება სავალდებულო საგანთა ჩამონათვალში პირდაპირ ეხმიანება პროგრამის მეორე მიზნის გაძლიერებას.

წარმოდგენილ პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა.

წაემოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამა დამტკიცებულია პარტნიორი უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ;

პარტნიორებს წინასწარ აქვთ შედგენილი ხელშეკრულება სადაც შეთანხმებულია სხვადასხვა ელემენტები: განსაზღვრულია სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები, კრედიტების აღიარება, სტუდენტთა დაშვების გეგმების სწავლის გაგრძელების და შეფერხების პროცედურები. პროგრამა ითვალისწინებს რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ სწავლების საკითხებთან დაკავშირებული კონსულტაციები.
ერთობლივ პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესაძლო საფუძველი და პროცედურები დეტალურად არის გაწერილი და დემოკრატიული მართვის ფორმებს ემყარება, როგორიცაა მაგალითად პარტნიორ უსდ-ებში სამუშაო ჯგუფების შექმნა. ასევე დეტალურად არის გაწერილი რეგულაციები პროგრამის გაუქმების შესახებ და ამ გადაწყვეტილების სტუდენტთა ინფორმირების შესახებ.

პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წარმოებას და განხორციელებას. ეს პრაქტიკა პროგრამის ფლექსიბილურობას და სტუდენტზე ორიენტირებულობაზე მიუთითებს თუმცა განხორციელების ეტაპზე მნიშვნელოვანი იქნება მონიტორინგი და შეფასება მისი ეფექტურობის დასადასტურებლად.

„ციფრული მედია და ინოვაციების“ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა. ძირითად შემთხვევაში ითვალისწინებს ერთობლივი პროგრამის თავისებურებებს. ერთობლივი პროგრამის განვითარების იდეალური ვარიანტისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ერთობლივი პროგრამის კომპონენტები გამიჯნულიყო და ცალკეულ კომპონენტზე განხორციელების ვალდებულება ცალკეულ პარტნიორ დაწესებულებას ჰქონოდა. ხოლო ერთობლივი პროგრამის სტუდენტს შესაძლებლობა მისცემოდა პროგრამის სასწავლო გეგმას ორივე პარტნიორ დაწესებულებაში დაუფლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი პერტნიორი უნივერსიტეტის სტუდენტს წერილობითი განცხადების საფუძველზე,

შეუძლია პროგრამით გათვალსიწეინებული კომპონენტის, კვლევითი თუ სასწავლო კურსის გავლა პარტნიორ უნივერსიტეტში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ მოცემული პროგრამა მიმდინარეობს სწავლების პარალელურ პროცესად. შესაბამისად, ერთობლივი პროგრამის სტუდენტს არ აქვს პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, ყველა პარტნიორ დაწესებულებაში სწავლის ვალდებულება სხვადასხვა კომპონენტებზე. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტუდენტს შეუძლია ასეთი არჩევანის გაკეთება და მისი არჩევანი მხარდაჭერილია პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ.

ამ პროგრამის განვითარების პოტენციალი იმაში მდგომარეობს, რომ პრაქტიკაზე დაფუძნებითა და შედეგების შეფასებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდეს ერთობლივი პროგრამის სრულყოფა და მისი სიკეთეების სრული რეალიზება. რისთვისაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც მოახდენენ მონიტორინგს შედეგების ანალიზს და დაგეგმავენ გზებს როგრამის გაუმჯობესებისათვის..

სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა, სემესტრების რაოდენობა, ძირითადი და სპეციალური სასწავლო კურსების თანაფარდობა, პროგრამის დაბალანსებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები სტუდენტზე ორიენტირებულია, ლოგიკურია და ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებსა და ადგილობრივ რეგულაციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ციფრული მედია და ინოვაციების“ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ციფრული მედია და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამა;
- სილაბუსები ;
- საგანმანათლებლო კომიტეტების მუშაობის ოქმები;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხები;
- თსუ-ის ვებგვერდი: http://www.tsu.ge (ბოლი ნახვა 21.08.2021);
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისი №06 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის თაობაზე“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №112 დადაგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე

საფეხურის პროგრამების განხორციელებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; - ბსუ-ს ვებგვერდი https:// bsu.edu.ge/sub-59/program/3/index.html (ბოლი ნახვა 21.08.2021);
რეკომენდაციები: - რეკომენდებულია, რომ მოხდეს პროგრამის მეორე მიზნის შესაბამისი შედეგების გაძლიერება და გამოკვეთა, რაც გულისხმობს, ჟურნალისტის/ჟურნალისტიკის როლის მნიშვნელობის გააზრებას დემოკრატიის განვითარებაში. უფრო ნათლად უნდა გამოიკვეთოს ციფრულ მედიაში ჟურნალისტის/ჟურნალისტიკის თვისებები, მისია და ჟურნალისტის მიერ ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების დინამიკა. - რეკომენდებულია, რომ ერთობლივი პროგრამის ფარგლებში მოხდეს აკუმულირებული ცოდნის გაზიარება და გაცვლა ნაცვლად პარალელური პროცესების წარმოებისა: შეიქმნას ისეთი მოქნილი სტრუქტურა, რომლის საშუალებითაც ერთობლივი პროგრამის სტუდენტს ექნება პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, ყველა პარტნიორ დაწესებულებაში სწავლის ვალდებულება სხვადასხვა კომპონენტებზე. მაგალითად პირველ სემესტრს გაივლის თსუ-ში, მეორეს - ბსუ-ში და ა. შ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასურველია, რომ შენარჩუნებული იყოს საუკეთესო სტარტი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიმართულებით, როგორც ამერიკული, ისე ევროპული მაგალითებით. რეკომენდებულია უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის გაწევრიანება პროფესიულ ასოციაციაში, მაგალითად (EJTA https://www.ejta.eu/) ეს ასოციაცია ევროპის 75 ზე მეტი ქვეყნის უნივერსიტეტის ჟურნალისტ განმანათლებლების ერთობაა. ამ ასოციაციის წევრები არიან საქართველოს ორი უნივერსიტეტი- ჯიპა და საქართველოს უნივერსიტეტი, რომლებიც ყოველწლიური კონფერენციებისა და სხვადასხბვა ერთობლივ პროექტებში მონაწილეობით მუდმივად ეუფლებიან ახალ ცოდნას, სწავლების სიახლეებსა და ეცნობიან დარგის გამოწვევებს. - სასურველია რომ მოხდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გეგმის შემუშავება და შესაბამისი აქტივობების წარმოება. სასურველია აკადემიური დამოუკიდებლობის პრიორიტეტიზაცია და ამისათვის შესაბამისის გეგმის შემუშავება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული მედია და ინოვაციები“ მეტწილად შესაბამისობაშია მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან. კერძოდ, პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ასევე, სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. „ციფრული მედია და ინოვაციების“ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ არის განსაზღვრული აღნიშნული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, კრედიტების რაოდენობა და სტუდენტის საათობრივი დატვირთვა; სასწავლო კურსის შინაარსი ჩამოყალიბებულია ძირითადი თემების სახით. განსაზღვრული სწავლების მეთოდები - ლექცია/სემინარი და პრაქტიკული მუშაობა ისე არის დაგეგმილი, რომ საშუალო მოსწრების სტუდენტს აძლევს კურსის წარმატებით დასრულებისა და კურსის მიხედვით განსაზღვრული ცოდნისა თუ უნარების დაუფლების საშუალებას. თითოეულ სასწავლო კურსში შეფასების ფორმები და კრიტერიუმები ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ტემპს, სტუდენტის მიერ გადასაჭრელი ამოცანის სირთულეს, დასახულ სასწავლო მიზანს და ამავე დროს, სტუდენტს საშუალებას აძლევს ზუსტად განსაზღვროს რომელ თემებსა და სასწავლო კომპონენტებს გაართვა თავი წარმატებით და რა აქვს გასაუმჯობესებელი იმისათვის, რომ უკეთ მიაღწიოს დასახულ შედეგს. სილაბუსების შესწავლის შედეგად, იკვეთება, რომ როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის ნაწილში მეტწილად, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და სასწავლო ლიტერატურა იძლევა სწავლის შედეგის მიღწევის საფუძველს, თუმცა, კურსების განაწილება ქმნის გარკვეულ გამოწვევებს შედეგების სრულად მიღწევის თვალსაზრისით, რასაც ქვემოთ განვიხილავთ. სამაგისტრო სასწავლო პროგრამის „ციფრული მედია და ინოვაციები“ კურიკულუმის (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ერთობლიობა და მათი სემესტრული განაწილება) სასწავლო მიზნები და შედეგები ერთობლიობაში ქმნის და მეტწილად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტმა იცის და აცნობიერებს მასობრივი კომუნიკაციების ძირითად თეორიებსა და მოდელებს, საჭიროებისამებრ, იყენებს ციფრულ მედიაპლატფორმებთან მუშაობის სტრატეგიებს, გაერთიანებული რედაქციის მუშაობის

პრინციპებსა და მულტიმედია მასალების დაგეგმვისა და გაშუქების სპეციფიკას აუდიტორიისთვის მოსახერხებელი ფორმატებითა და პლატფორმების საშუალებით;

პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტი მსჯელობს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის მედია საშუალების ორგანიზაციულ მოწყობაზე, მართვის საკითხებსა და ინოვაციური მედია მენეჯმენტის მთავარ ინსტრუმენტებზე;

თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგნების სემეტრული განაწილება ქმნის გარკვეულ გამოწვევებს პროგრამის შედეგების სრულად მიღწევისთვის. ახალი ერთობლივი პროგრამის სასწავლო შედეგების მიხედვით, განსაზღვრულია, რომ სწავლის დასრულების შემდეგ, სტუდენტმა:
ა) იცის და აცნობიერებს
- ციფრული მედიის საქმიანობისთვის საჭირო პროფესიულ ეთიკას და სამართლის ნორმებს;
- კიბერჰიგიენის საფუძვლებს და უსაფრთხოების ძირითად სტანდარტებს;
- მსჯელობს ციფრული მედიის თვითრეგულირებისა და რეგულირების პრაქტიკაზე საქართველოსა და მსოფლიოში

ბ)აქვს უნარი
- გააანალიზოს ციფრულ კონტენტი და მონაცემები

გ) აქვს პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
- რედაქციას მართავს ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით და ადაპტირდება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით;
- ქმნის წარმატებულ მარკეტინგულ სტრატეგიებს ციფრული მედიისთვის და პასუხისმგებლობას იღებს კოლეგების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე.

პროფესიული ეთიკა, თვითრეგულირების პრაქტიკები, კიბერუსაფრთხოება, ციფრული კონტენტის და მონაცემების გაანალიზება მართლაც, ის მნიშვნელოვანი საკითხებია, რომლებიც ფუნდამეტურია ციფრული მედიის სფეროში დასაქმებული პროფესიონალებისთვის და ასევე, გამოკვეთილია უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ ახალი პროგრამის სასწავლო შედეგებში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ორი მნიშვნელოვანი სასწავლო კურსი „კიბერკულტურა და ჟურნალიზმი“ და „მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია“, რომლებიც უმნიშვნელოვანესია სწავლის შედეგების მიღწევისთვის ერთი მხრივ, ეთიკურ და პროფესიულ სტანდარტზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად და მეორე მხრივ, კომპლექსური და მრავალფეროვანი მონაცემების დასამუშავებლად და აუდიტორიისათვის გასაგებად წარმოსადგენად, დაგეგმილია არჩევით საგნად, რაც ქმნის იმის საფრთხეს, რომ მათი არარჩევის შემთხვევაში, სტუდენტი სრულყოფილად ვერ მიიღებს იმ სასწავლო შედეგს, რომელიც პროგრამით არის გათვალისწინებული. მაგ: „ციფრული მედიის საქმიანობისთვის საჭირო პროფესიული ეთიკისა და სამართლის ნორმების ცოდნა და ციფრული მედიის თვითრეგულირებისა და რეგულირების პრაქტიკის ცოდნა.“ სასურველია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა განიხილონ მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს აღნიშნულ კურსების სწავლებას (ერთ-ერთი საშუალება შეიძლება იყოს, სავალდებულო სტატუსის მინიჭების შესაძლებლობა და ნაკლებად ფუნდამენტური სასწავლო კურსების არჩევით მოდულში გადატანა). აღნიშნული მექანიზმების წარმოდგენა არ იქნება რთული უნივერსიტეტებისათვის, რადგან წარმოდგენილი კურიკულუმი უკვე მოიცავს აღნიშნულ საგნებს.

ასევე, ციფრული მედიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა კიბერ უსაფრთხოება არასათანადოდ არის დაფარული სასწავლო კურსებით. აღნიშნული გამოწვევისთვის სათანადო ყურადღების დათმობა პროგრამის კურიკულუმში კიდევ უფრო გააძლიერებდა პროგრამის სასწავლო შედეგს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტში.

სილაბუსებში მოცემულია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, რომელიც სტუდენტს საშალებას აძლევს გაეცნოს და გაიაზროს კურსში მოცემული თემები როგორც სწავლის სფეროს უკვე კლასიკად ქცეული, ისე ახალი და უახლესი ტექსტებისა და მიღწევების, საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილებისა და პრაქტიკული მაგალითების საშუალებით.

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილი სასწავლო მასალა, ქართული და ინგლისური სახელმძღვანელოები, ვებ-გვერდები, პროფესორის მიერ შექმნილი რიდერები დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. რიგ შემთხვევებში ლიტერატურა მოცემულია ინგლისურ ენაზე, რაც გასაგებია, ამ დარგში ქართულენოვანი რესურსის სიმწირის გამო. თუმცა, პროგრამაში მიღების წინაპირობა B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნა და ასევე, სავალდებულო საგნად დარგობრივი ინგლისური ენის სწავლება, სტუდენტს საშუალებას აძლევს დაეუფლოს მასალას მის არამშობლიურ ენაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ციფრული მედია და ინოვაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
- სილაბუსები
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- ბრძანება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგებთან პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის ფორმების დამტკიცების შესახებ https://old.tsu.ge/ge/juridical/orders/xjZLRyouzlDed3z9Q/?p=1 ბოლი ნახვა 22.08.2021);
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება ,,ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №112 დადაგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის პროგრამების განხორციელებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- თსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი https://www.tsu.ge/ka/library (ბოლი ნახვა 28.08.2021)
- ვიზიტები თსუ-ს და ბსუ-ს საბიბლიოთეკო სივრცეებში
- ინტერვიუები ორივე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ლექტორებთან, ხარისხის მართვის სამსახურისა და ბიბლიოთეკების წარმომადგენლებთან
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (რუკები)
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;

- ბსუ-ს სტუდენტური პორტალი https://portal.bsu.edu.ge (ბოლი ნახვა 22.08.2021)

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია ორ არჩევითი კურსი - „კიბერკულტურა და ჟურნალიზმი“ და „მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია“ გადავიდეს სავალდებულო საგნების ნაწილში, რათა პროგრამის სწავლის შედეგი იყოს მიღწევადი.

- რეკომენდებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა განიხილონ კიბერ უსაფრთხოების ცალკე საგნად სწავლება ან თემის ჯეროვნად ინკორპორირება შესაბამის სასწავლო კურსებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ციფრული მედიისა და ინოვაციების საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, მაგისტრანტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებას უზრუნველყოფს. ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა როგორც თეორიული სასწავლო კურსები, ასევე კურსებში ჩაშენებული და ცალკე მდგომი პრაქტიკული სწავლების კომპონენტები. როგორც ბაზრის კვლევისა და თვითშეფასების დოკუმენტებიდან, ასევე წარმოდგენილი სილაბუსებიდან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებიდან ირკვევა, სასწავლო პროგრამა სტუდენტს ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პრაქტიკულ უნარ-ჩვენებს მეტწილად, უვითარებს. დამსაქმებლის ინტერესებს წარმოადგენს, რომ კურსდამთავრებული კარგად ფლობდეს ქართულ ენას და შეეძლოს მისი გამოყენება სხვადასხვა მედიაპლატფორმის შესაბამისად, ფაქტების გადამოწმება და მათი ანალიზის უნარი, ფლობდეს ციფრული მედია რეპორტინგის უნარებს. სწორედ ამ მოთხოვნების გათვალისწინება იკვეთება პროგრამით დაგეგმილ სავალდებულო საგნებში: „ციფრული მედია“, „რეპორტინგი ციფრულ მედიაში“, „მასობრივი კომუნიკაციის თეორიები და კონცეფციები“, „მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები“, „გრაფიკული მედია“, „პოდკასტების წარმოება“, „ფუნქციური წერა და სტილისტიკა“,

„ვიზუალური თხრობა“, „ტრანსმედია პროექტები“ და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ფარგლებში სავალდებულო საგნად ისწავლება „დარგობრივი ინგლისური ენა“, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს არა მხოლოდ დაეუფლოს კურსის ფარგლებში შეთავაზებულ უახლეს ლიტერატურას ინგლისურ ენაზე, არამედ გაეცნოს ინგლისურენოვან სამეცნიერო ბაზებსა და თვალი ადევნონ თანამედროვე მსოფლიო მედიის პროდუქტებს. თუმცა, როგორც 2.3. სტანდარტის ანალიზისას, გამოიკვეთა, მედიაპლატფორმის შესაბამისად, დიდი მონაცემების დახარისხების, დამუშავებისა და აუდიტორიისთვის გასაგებ ენაზე, შესაბამისი პლატფორმის სპეციფიკაზე მორგებული სახით გადაცემის უნარი, ასევე პროფესიულ ეთიკასა და ღირებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარება დაგეგმილია ორ არჩევით საგანში, რაც გარკვეულ რისკებს ქმნის პროგრამის შედეგების სრულად მიღწევის თვალსაზრისით.

პროგრამა მაგისტრანტს არჩევითი საგნების ფართო სპექტრს სთავაზობს. მაგალითად: „ინოვაციური ტექნოლოგიები მედიამენეჯმენტში და თვითმართვა“, „ციფრული მედიის მარკეტინგი“, „კიბერკულტურა და ჟურნალიზმი“, „მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია“. თუმცა, როგორც 2.3. სტანდარტის ანალიზისას აღინიშნა, სასურველია, რომ ბოლო ორი საგანი არჩევითის კატეგორიიდან გადავიდეს სავალდებულო კატეგორიაში, რათა კიდევ უფრო გაამყაროს პროგრამის მიერ დასახული სასწავლო მიზანი.

უმნიშვნელოვანესია, რომ პროგრამის შემუშავებაში საქართველოს ორმა უნივერსიტეტმა, აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, ითანამშრომლა ამერიკის შეერთებული შტატებისა უნივერსიტეტების მედია-სკოლებთან. ასევე, პროგრამას დადებითი შეფასება მისცეს პოლონეთის რესპუბლიკის ვროცლავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბულგარეთის რესპუბლიკის სოფიას სახელმწიფო უნივერსიტეტების ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების ფაკულტეტების წარმომადგენლებმა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ორივე უნივერსიტეტი მომავალშიც მზად არის ითანამშრომლოს ახალ პროგრამასთან.

პროგრამის „ციფრული მედია და ინოვაციები“ პირველი ორი სემესტრის განმავლობაში, სტუდენტები სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში ასრულებენ კონკრეტულ პრაქტიკულ დავალებებს. ისინი მუშაობენ ფოტო, რადიო და სატელევიზიო მასალებზე, გეგმავენ და უშვებენ გაზეთებსა და ჟურნალებს, წერენ ბლოგებს, მუშაობენ ტრანსმედია პროექტებზე და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების მიერ შექმნილი მასალებიდან საუკეთესო რეპორტაჟები და მულტიმედიური პროექტები განთავსდება ფაკულტეტების ვებ-გვერდებზე და გადაიცემა უნივერსიტეტების პარტნიორი მედიაორგანიზაციების საინფორმაციო არხებით. უნივერსიტეტების პარტნიორი მედია ორგანიზაციები საქართველოში მედიის პროფესიონალებისა და მედია წიგნიერი საზოგადოების მხრიდან მაღალი რეპუტაციით სარგებლობენ, შესაბამისად, აღნიშნული შესაძლებლობა, სტუდენტებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმტკიცების გარდა, უდაოდ მატებს მოტივაციას, იმუშაონ მაღალი პროფესიული სტანდარტით და გახდნენ ჟურნალისტური კორპუსის სრულფასოვანი წევრები.

მესამე სემესტრში პროგრამა ასევე, ითვალისწინებს პროფესიული პრაქტიკის კურსს, რომელიც შეადგენს 10 კრედიტს. კურსის ფარგლებში სტუდენტი გადის პრაქტიკას შერჩეულ მედია ორგანიზაციაში, რაც მას საშუალებას აძლევს თავი მოუყაროს იმ ცოდნასა და პროფესიულ უნარებს, რას წინა სასწავლო სემესტრებში შეიძინა. ასევე, პრაქტიკის კურსის ხელმძღვანელის ჩართულობით, რეალურ გარემოში უკეთ გაუმკლავდეს ყველა იმ გამოწვევას, რაც დღევანდელი მედია ორგანიზაციის წინაშე დგას და ერთი მხრივ, დამოუკიდებლად, მეორე მხრივ, კი გუნდური მუშაობით, პროფესიული პასუხისმგებლობით გადაჭრას მის წინაშე დასახული პროფესიული ამოცანა - სანდო,

მტკიცებულებებით გამყარებული ინფორმაციის შეგროვება შერჩეული მედია პლატფორმით გავრცელება, მისი მიზნობრივი აუდიტორიის ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მკაფიოდ არის გაწერილი სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები და წარმოსადგენი პრაქტიკული დავალებები. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიზნით, ორივე უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები მაღალი პროფესიული სტანდარტისა და დამოუკიდებლობის ხარისხის მქონე სხვადასხვა მედია ორგანიზციასთან. (რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსი; ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი, TOK TV, ტვ25, გაზეთი ბათუმელები და სხვ.). კვლევითი უნარების განმტკიცებას ითვალისწინებს სასწავლო კურსი „მედიისა და კომუნიკაციის კვლევითი მეთოდები (მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევის სამაგისტრო პროგრამიდან). მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალია და შესაბამისად, ჯერ რთულია მსჯელობა სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართულობაზე, ორივე უნივერსიტეტის მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო უნივერსიტეტებთან პარტნიორობა და მომიჯნავე პროგრამების სტუდენტთა ინტერვიუები ცხადყოფს, რომ აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს ექნებათ ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართვის და მათი სასწავლო თუ კვლევით კონფერენციებზე წარდგენის საშუალება. ასევე, აღსანიშნავია, რომ ინტერვიუების დროს, როგორც პროგრამის ხელმძღვანელებმა, ასევე ადმინისტრაციამ ორივე უნივერსიტეტიდან გამოთქვა მკაფიო სურვილი, რომ გააგრძელონ პროგრამის საერთაშორისო უნივერსიტეტებთან პარტნიორობა, სტუდენტების და პედაგოგების ჩართულობის ხარისხი საერთაშორისო კონფერენციებსა თუ კვლევებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სასწავლო კომპონენტის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1); - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები (დანართი 11); - ბსუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; - ბსუ გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირება; - ბსუ-ში ღონისძიების გამართვის წესი; - ბსუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიების თაობაზე
რეკომენდაციები: - რეკომენდირებულია ორ არჩევითი კურსი - „კიბერკულტურა და ჟურნალიზმი“ და „მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია“ გადავიდეს სავალდებულო საგნების ნაწილში, რათა პრაქტიკული/საშემსრულებლო უნარების განვითარება იყოს რეალურად მიღწევადი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სააკრედიტაციო პროცესისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზისას, ნათლად ჩანს, რომ ახალი პროგრამა „ციფრული მედია და ინოვაციები“ დაიგეგმა არა მხოლოდ ბაზრის მოთხოვნების, გათვალისინებით არამედ, ასევე, სტუდენტებზე მორგებული, სწავლისთვის ხელსაყრელი გარემოსა და სასწავლო პირობების შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ თითოეულ სილაბუსში მკაფიოდ არის წარმოდგენილი სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც საუკეთესოა კურსის მიზნების მისაღწევად და მორგებულია სტუდენტების საჭიროებებზე სასწავლო პროცესში. სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო თემატიკას და შეესაბამება სწავლების საფეხურს და კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლა სწავლების მეთოდი სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად უვითარებს პრაქტიკულ, სამეცნიერო-კვლევით და ტრანსფერულ უნარებს. ხელს უწყობს სასწავლო მასალის ათვისებას. სწავლების პროცესში, თითოეული კურსის სპეციფიკიდან გამომიდნარე, ლექტორი იყენებს შემდეგ სწავლა-სწავლების მეთოდებს: ვერბალური (სალექციო) ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ინდუქცია, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები: შემთხვევის ანალიზის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თანამშრომლობითი და ა.შ. სტუდენტები ამზადებენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ პროექტებს. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ენაცვლება და ავსებს. კურსის ხელმძღვანელმა შეიძლება გამოიყენოს ერთზე მეტი მეთოდი ან სხვა მეთოდები, თუკი ის მიიჩნევს, რომ ისინი უფრო რელევანტურია კურსის სპეციფიკისთვის და უკეთ უწყობს ხელს სტუდენტებს მასალის ათვისებაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასწავლო პროგრამა ერთის მხრივ, ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნებს და მეორე მხრივ, მორგებულია სტუდენტების საჭიროებებს, მაქსიმალურად სრულყოფილად აითვისონ სასწავლო მასალა. შესაბამისად, თითოეული კურსის სასწავლო მეთოდი შეიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც ჩაშენებული კურსში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე და ასევე, გათვალისწინებულია სასწავლო პრაქტიკის კომპონენტი, რომლის მიზანია საუნივერსიტეტო განათლების თეორიული ცოდნის ტრანსფერის საფუძველზე სტუდენტებს განუვითაროს პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო პრაქტიკული უნარები. აღნიშნული კურსი თავს უყრის სტუდენტის თეორიულ ცოდნას და ეხმარება მათ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ აპლიკაციაში რეალურ გარემოში,

ხელს უწყობს სამუშაო გარემოსთან ადაპტაციაში და მათ წინაშე დასმული პროფესიული ამოცანების გადაჭრაში. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტებში შემუშავებულია განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მექანიზმები, რაც გულისხმობს ინდივიდუალურ მიდგომას სტუდენტის შესაძლებლობების, საჭიროებებისა და აკადემიური დონის გათვალისწინებით. ამგვარი მექანიზმისა და სწავლა-სწავლების მეთოდი ხელს უწყობს სტუდენტთა შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - პროგრამის სილაბუსები - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება, ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“. - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ https://www.tsu.ge/ka/legalakad/15980 - ,ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ მომიჯნავე სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სასწავლო პრაქტიკისა და სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სემესტრის განმავლობაში გათვალისწინებულია რამდენიმე-ეტაპიანი შეფასება, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას, აქედან შუალედური და დასკვნითი შეფასებები საგანების

უმეტესობაში სხვადასხვანაირადაა გადანაწილებული. შუალედური შეფასების სხვადასხვა კომპონენტზე სპეციფიკის შესაბამისად ანაწილებს სასწავლო
კომპონენტის განმახორციელებელი პირი.

შუალედური შეფასებები მოიცავს ისეთ მრავალჯერად შეფასების კომპონენტებს როგორიცაა წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა, ზეპირი გამოკითხვა, პროექტები, რეფერატები და ა.შ.

შესაბამისად, შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რაც დეტალურადაა მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამასთან შეფასების თითოეულ ფორმაში საგნების მიხედვით განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის, რაც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში დადასტურდა.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებებისა და პირადი მონაცემების, სილაბუსების გაცნობისა და გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ საგნობრივი შეფასებებში ლექტორები თავისუფლები არიან და ქულათათა გადანაწილება ინდივიდუალურია კანონის შესაბამისად. ამრიგად, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტწილად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იცნობენ ქულათა გადანაწილების სქემას, ამავე დროს მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან გასაუბრებისასაც გამოჩნდა მათი ცოდნა ამ საკითხისადმი. აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყენებს სტანდარტულ კლასიკურ შეფასების სისტემას. მოცემული ნაწილი ასახულია თვითშეფასების დოკუმენტში და ასევე თითოეული საგნის სილაბუსში.

სამაგისტრო ნაშრომების შეფასება ხდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესის მიხედვით კომისიური წესით, სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ მოწმდება კვლევის კეთილსინდისიერება პლაგიატის პროგრამის (Turnitin) საშუალებით, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საჯაროდ კომისიის სხდომაზე და ნაშრომი ფასდება ჯამში 100 ქულით. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა. სამაგისტრო ნაშრომს აფასებს რეცენზენტი მაქსიმუმ 40 ქულით და კომისია მაქსიმუმ 60 ქულით.

მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, ასევე გასაუმჯობესებელ მხარეებზე. შუალედური და დასკვნითი გამოცდის შემდეგ კურსები სილაბუსებში გაწერილია შედეგების განხილვაც.

ამავე დროს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფილია სტუდენტის შეფასების შედეგის გასაჩივრება, რაც დასტურდბეა უსდ-ების დებულებით. უნდა ითქვას ისიც, რომ ხარისხის სამსახური რეგულარულად აორციელებს სტუდენტთა შეფასების მონიტორინგსა და შედეგების მიხედვით საჭირო ღონისძიებების გატარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება; - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დადგენილება №23 - გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ; - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი; - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №111 დადგენილება; - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №06-01/71; - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №23; - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დებულება; - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება; - „ციფრული მედია და ინოვაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; - თვითსეფასების დოკუმენტი; - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ-გვერდები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, უმაღლესი საგნმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პერსონალთან და მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ პარტნიორი უნივერსიტეტები უზრუნველყოფენ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სტუდენტი სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებასა და დასაქმებაზე კონსულტაციას იღებს. ამავე დროს უნივერსიტეტები სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭრისა ინფორმაციული უზრუნველყოფის ვალდებულებას იღებენ, რაც გულისხმობს: სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, პარტნიორ ნივერსიტეტში მოქმედ წესებთან და სხვ. დაკავშირებით სტუდენტთა ინფორმირებასა და საორგანიზაციო საკითხებში დახმარების გაწევას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები. ასევე, ინტევიუების პროცესში მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალთან კომუნიკაციის პრობლემა არ არ ჰქონიათ, ონლაინ ფორმატშიც კი ლექტორები ნებისმიერ დროს მზად იყვნენ დახმარებოდნენ სტუდენტებს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ სტუნდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭრის ცენტრი, სტუდენტთა მომსახურების სამსახური და ასევე დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული (სტუდენტებს ეხმარება განვითარდნენ კვლევით მიმართულებით). ეს ადმინსიტრაციული ერთეულები უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციასა და კარიერულ

განვიათებასთან საჭირო მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც საუნივერსიტეტო სივრცეში ეწყობა სხვდასხვა სახის ღონისძიება. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებიის ვებ-გვერდზე ინფორმაცია თავსდება სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების, კონფერენციებისა, ღონისძიებებისა და კვლევების შესახებ. მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებს აქვთ სათანადო ხელშეწყობა, რომ მონაწილეობა მიიღონ ამ ყოველივეში. ამავე დროს, გასაუბრებისას, აღინიშნა ის ფაქტიც, რომ კონფერენციებს სტუდენტები აკადემიურ პერსონალთან ერთადაც აკეთებს. ამასთან ერთად, მომიჯნავე სტუდენტებთან საუბრისას გამოიკვეთა დამატებითი პროექტებში მონაწილეობაზე ლექტორებთან ერთად. სტუდენტები დაადასტურეს, რომ ინფორმირებული არიან გაცვლით პროგრამაზე და ERASMUS+ პროექტებზე, რომელსაც იმეილის მეშვეობით იგებენ. უმაღლეს საგანმანათლებლო ,,დაწესებულებებში“ დაწესებულია საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სტიპენდიები, რომელთა მოპოვებაც დამოკიდებულია სტუდენტს აკადემიურ მოსწრებასა და კურიკულუმის მიღმა განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობაზე. მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ჩართულები არ იყვნენ პროგრამის შემუშავებაში. მათ ჰქონდა ინფორმაცია მოცემულ პროგრამაზე, მაგრამ რაიმე სახის წვლილი არ შეუტანიათ არც მათ და არც მათ კურსელებს. სასურველი იქნებოდა მათი ჩართულობა პროგრამის კიდებ უფრო მეტად ჩამოყალიბებისთვის. საერთო ჯამში სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგვასთან, აკადემიური მიღწევების შედეგებთან და გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციას. მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები კმაყოფილი არიან აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები; - თვითშეფასების დოკუმენტი; - უმაღლესის საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ-გვერდები; - ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება; - ინტერვიუს შედეგები; - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის რეორგანიზაციის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის შექმნისა და დამტკიცების დებულება; - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება; - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება x **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ციფრული მედია და ინოვაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტო ნაშრომის მომზადება და დაცვა სავალდებულოა ნებისმიერი სუდენტისთვის, რომელსაც წარადგენენ დამამთავრებელ სემესტრში. პროგრამის ხელმძღვანელებთა, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის პროცესში მაგისტრატურის სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით, კვლევითი პრაქტიკითა და პუბლიკაციებით, ასევე სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის პროცედურით. უსდ-ებში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროვესის რეგულირდება ბსუ-ს აკადემური საბჭოს №111 დადგენილებით და სამასგისტრო ნაშრომის სილაბუსით, რომელიც ხელმძღვანელობის პროცესს მთელი სემსტრის მანძილზე, ხოლო თსუ-ში საფაკულტეტო საბჭოს მიერ მიღბული დებულებით. აკადემიურ პერსონალთან და მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს სტუდენტთან კვლევის სტილზე, დიზაინზე და სხვა საკითხებზე თემის გარშემო, ხოლო სტუდენტები სხვა დანარჩენ დამოუკიდებელი სამუშაოს ფორმატში გამოყოფილ საათების ხარჯზე მუშაობენ. სამაგისტრო ნაშრომის შემუშვებისა და შეფასების წესის მიხედვით, მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობს ხელმძღვანელთა ზედამხედველობით. მათ შესაბამისი აქვთ კომუნიკაცია და განიხილავენ შენიშვნებს, რეკომენდაციებსა და კვლევის დიზაინს. მაგისტრანტი თავისუფალია თავის აზრსა და პოზიციაში და ხელმძღვანელი აძლევს საშუალებას, რომ განივითაროს თავისი იდეები. მათ მთელი სემსტრის განმავლობაში აქვთ ყოველკვირეული საკონსულტაციო საათები. ორივე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი თემის წერის პროცესში აქტირუად არიან ჩართული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №111 დადგენილება; - თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი-სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი; - თვითშეფასების დოკუმენტი; - ინტერვიუს შედეგები; - უნივერსიტეტების ვებ-გვერდი; - საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და პირადი მონაცემები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; პროგრამას გააჩნია აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო

და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე; პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განხორციელებულ ფუნქციებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესს გაუძღვება თსუ-სა და ბსუ-ს აკადემიური პერსონალი, ასევე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული ლექტორები. სულ პროგრამაში ჩართულია 29 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათგან 14 თსუ-ს წარმოადგენს, 15 კი ბსუ-ს. აფილირებული და მოწვეული პერსონალის თანაფარდობაა 13/16-ზე, შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენცია დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, ასევე მათი ნაწილის პრაქტიკული გამოცდილებითა და სალექციო კურსების წაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილებით. არაერთი მათგანის ნამუშევრის ხარისხი აღიარებულია სფეროში გავლენიან და მნიშვნელოვან კონკურსებში მიღებული ჯილდოებით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვასა, და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა, მათზე ხელშეკრულებით დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პირველ კურსზე ჩასარიცხი მაგისტრანტების რაოდენობასთან მიმართებაში. მათ შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამას ჰყავს სამი ხელმძღვანელი, რომელთაც გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში. კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებითა და სამუშაო გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელებისა და პერსონალის ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააჩნიათ პროგრამის ჯეროვნად განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენცია და სტრატეგიული ხედვა. გარდა ამისა, პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან. - აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები. - თსუ-სა და ბსუ-ს საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებული დებულებები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ და ბსუ პერიოდულად ახდენენ აკადემიური და მოწვეული შეფასებას და ახორციელებენ კმაყოფილების გამოკითხვას. ამ შეფასებისას ხდება, ერთი მხრივ, სტუდენტთა გამოკითხვა, მეორე მხრივ კი პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება. შეფასების კრიტერიუმებს შორისაა საერთაშორისო და ადგილობრივ (მათ შორის სამეცნიერო) პროექტებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობა, ადგილობრივ და საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების რაოდენობა და შინაარსი, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების რაოდენობა და სხვა, რაც საბოლოოდ თავს იყრის პერსონალის ანგარიშში. ეს დოკუმენტი შეიცავს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და განხორციელებული სოციალური აქტივობებით (საჯარო ლექციები, სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობა და სხვ.) კომპონენტებს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე უსდ-ს გააჩნია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და შედეგების ანალიზის საკმაოდ გამართული და დეტალურად გაწერილი სისტემები, გასაუბრებისას პერსონალს, განსაკუთრებით მოწვეულ ლექტორებს არ აღმოაჩნდათ მკაფიო წარმოდგენა შეფასების ამ სისტემების შესახებ. ორივე უსდ ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და, შეფასების სისტემებისგან განსხვავებით, ინტერვიუირებისას პერსონალს ამ ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა არ აღმოაჩნდა. ამ ღონისძიებებს შორისაა: თსუ-ს საფაკულტეტო მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტი, რაც გულისხმობს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების ერთობლივი მონაწილეობით სამეცნიერო კვლევის დაფინანსებას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. ტრენინგები თსუ-ს აკადემიური პერსონალისთვის, მათ შორის სასწავლო პროცესის მართვის ბაზის, Moodle-ისა და Zoom-ის გამოყენება დისტანციურ სწავლებაში; დიდი ზომის ფაილების (სალექციო მასალები, ლექციების აუდიო/ვიდეო ჩანაწერები) განთავსება

სასწავლო პროცესის მართვის სისტემებში (lms, Moodle); Turnitin-ის გამოყენება სასწავლო პროცესში, ტესტების შექმნა და ა.შ.. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ განხორციელებული საგრანტო პროექტები (მაგალითად კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“, სეზონური სკოლა „დიგიტალურ ჰუმანიტარიაში“ და სხვ. ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ფაკულტეტის ვებგვერდზე). თსუ-ს სისტემატიურად იწვევს უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა დარგობრივ ტრენინგებში და მოიპოვონ დაფინანსება სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ასევე პარტნიორ უნივერსიტეტებში ხშირად იმართება ლექტორთა სამეცნიერო კონფერენციები; საჯარო ლექციები; მეთოდური სემინარები; პროფესორ-მასწავლებლები პერიოდულად, პროფესიული განვითარების მიზნით, მიემგზავრებიან მივლინებებით საზღვარგარეთ. ფაკულტეტების ბიუჯეტში გათვალისწინებულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის განკუთვნილი ფინანსური უზრუნველყოფა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან. - პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები. - აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები. - საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია აკადემიური და განსაკუთრებით მოწვეული პერსონალის უკეთ ინფორმირება პერსონალის შეფასების სისტემების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული მედია და ინოვაციები“ უნდა განხორციელდეს თსუ-სა და ბსუ-ს ბაზაზე. ორივე უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა პარალელურ რეჟიმში თბილისსა და ბათუმში. დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ ორივე უსდ-ში პროგრამა უზრუნველყოფილია ტექნიკური და ინფრასტრუქტურული აღჭურვილობით, რაც სწავლის შედეგების მიღწევას უწყობს ხელს.

პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, ბიბლიოთეკის დაკომპლექტება მიმდინარეობს, მათ გააჩნიათ შესაძენი წიგნების ნუსხა, რასაც აუცილებლად შეავსებენ სასწავლო პროცესის დაწყების წინ. ამავე დროს, რიდერების ნაწილს ლექტორები თავად მიაწვდიან სტუდენტებს.

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, დადგინდა, რომ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის უმეტესობა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკებში როგორც თსუ-ში, ასევე ბსუ-ში ფიზიკური და ელექტრონული ფორმით, ასევე გარკვეული ნაწილი უკვე შესყიდულია და წარმოდგენილია შესაბამისი ინვოისი. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელებსა და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს, გაირკვა, რომ ლიტერატურის ნაწილს შეისყიდიან პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ და ამაზე არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციების თანხმობა. ასევე, ყველა რიდერი შექმნილია და შესაძლებელია მათი დროული მიწოდება ბიბლიოთეკებისათვის ამ კომპონენტის სრულად გამართვის მიზნით.

თსუ-სა და ბსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსი როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად აკმაყოფილებს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებსა და, შესაბამისად, სტუდენტთა საჭიროებებს. აღსანიშნავია, რომ თსუ-ში ფუნქციონირებს გამართული ელექტრონული სწავლების პორტალი https://e-learning.tsu.ge/, რომელიც განთავსებულია Moodle-ის სასწავლო პლატფორმაზე. საყურადღებოა, რომ ამ პლატფორმაში, სხვა ფუნქციებთან ერთად, ჩაშენებულია პლაგიატზე ავტომატური შემოწმების ფუნქცია.

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თსუ-ის რამდენიმე სასწავლო კორპუსი: მეოთხე, მეექვსე, მერვე კორპუსები და თსუ-ის ტურიზმის სკოლის შენობა, სადაც ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის ბილინგვური პროგრამის სტუდენტები არიან განთავსებული, ასევე ბსუ-ს ინფრასტრუქტურა, სადაც სტუდენტებს განკარგულებაშია სათანადო ინვენტარითა და საინფორმაციო–საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზი, ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრი, კომპიუტერული რესურს-ცენტრი.

დამატებით პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრით, რომელიც აერთიანებს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ტელე და რადიო სტუდიებს, ე.წ. ნიუსრუმსა და სამონტაჟო კაბინეტებს, ხმის ჩამწერ სტუდიას და სხვ. და ბსუ-ს რესურსებით, მათ შორის ბსუ-ს ტელესტუდიით. გარდა ამისა, პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით.

უნივერსიტეტებში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდა, სტუდენტებს ემსახურება ის ორგანიზაციებიც, რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა:

თსუ

- „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი;

- ,,საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია";
- ,,ჟურნალისტიკის რესურსცენტრი";
- რეგიონული მაუწყებელი ,,TOK TV";
- ,,მაუწყებელთა ალიანსი".

ბსუ

- აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- ტვ 25;
- გაზეთი ბათუმელები; ნეტგაზეთი;
- გაზეთი ,,აჭარა".

გასაუბრებისას მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ინფორმირებულნი არიან ზემოთჩამოთვლილი რესურსების არსებობისა და მათი მოხმარების წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-სა და ბსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ლიტერატურასთან.
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა.
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ სწავლების დაწყებამდე, პროგრამის ხელმძღვანელებმა კიდევ ერთხელ შეამოწმონ სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა და შეავსონ ყველა შესაძლო დანაკლისი.
- რეკომენდებულია, რომ სწავლების დაწყებამდე პროგრამის ხელმძღვანელებმა გააკონტროლონ დაგეგმილი შესყიდვების დროული განხორციელება, რათა სტუდენტს ქონდეს კურსით გათვალისწინებულ მასალაზე დაუბრკოლებლად წვდომა და შეძლოს დაგეგმილი სასწავლო შედეგის მიღება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პარტნიორი უნივერსიტეტები განსაზღვრავენ სწავლის საფასურის ოდენობას და გადახდის წესს. სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის იმ უნივერსიტეტში, სადაც გადის პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო/კვლევით კომპონენტს, ამავე უნივერსიტეტში ხორციელ-დება სტუდენტის სამაგისტრო გრანტის ჩარიცხვა.

„ციფრული მედიისა და ინოვაციების" საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განხორციელების, პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მოტივაციის მხარდაჭერის მიზნით, სამაგისტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს უნივერსიტეტის ბიუჯეტი. ბიუჯეტები გააჩნია როგორც თსუ სოციალურ მეცნიერებათა, ასევე ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თავად პროგრამას ცალკე გამოყოფილი და პროგრამისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი არ აქვს. როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებისას გაირკვა, პროგრამის ყველა ფინანსური საჭიროება უზრუნველყოფილი იქნება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამას ჰქონდეს მკაფიოდ გაწერილი და საკუთარი ბიუჯეტი.

ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ციფრული მედია და ინოვაციები" წარმოდგენილი ხარჯის პროგნოზი 2 წლისთვის მოიცავს აკრედიტაციის, საერთო სასწავლო შეხვედრების, სამაგისტრო ნაშრომების მომზადების, წარმომადგენლობითი, მაგისტრანტების კონფერენციებში მონაწილეობისა და პუბლიკაციის ხარჯებს, თუმცა არ შეიცავს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურებას სწავლებაზე/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისთვის, ერთობლივი პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრაციულ ხარჯებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოდგენილი დოკუმენტი არ შეიცავს პროგრამის ძირითად ხარჯებს.

ამასთან დაკავშირებით პარტნიორი უნივერსიტეტების ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ვალდებულებას იღებენ, აღნიშნული ხარჯები დაფარონ თავად, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. შრომის ანაზღაურება მოხდება იმ ტარიფით და პირობებით, რაც მოქმედებს იმ პარტნიორ უნივერსიტეტში, სადაც მაგისტრანტი ასრულებს სასწავლო/კვლევით კომპონენტს, აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვის ფარგლებში ან/და საათობრივი ანაზღაურებით. პროგრამის განხორციელების ხარჯის სახეობები, რაც წარმოდგენილია დოკუმენტში, დაიფარება პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ, თანაბარი ოდენობით. თითოეული პარტნიორი უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს პროგრამის ფინანსური მდგრადობა უნივერსიტეტის ბიუჯეტში არსებული ფინანსური სახსრებით.

პროგრამის ხელმძღვანელების განცხადებით, შემოსავლის წყაროს წარმოადგენს როგორც სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ მოზიდული თანხა საერთაშორისო თუ ადგილობრივი დონორი ორგანიზაციებიდან, საგრანტო პროექტებიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი.
- ბსუ-ს ბიუჯეტი.
- გასაუბრება პროგრამის და უსდ-ის ხელმძღვანელებთან.

რეკომენდაციები:

იმისათვის, რომ აღნიშნულმა სტანდარტმა სრულად დააკმაყოფილოს მოთხოვნა, რეკომენდებულია, რომ ახალ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას ჰქონდეს ცალკე

გამოყოფილი ბიუჯეტი და წინასწარ იყოს განსაზღვრული ბიუჯეტის ძირითადი კომპონენტები, მაგ: სავარაუდო/მოსალოდნელიხარჯები და შემოსავლები, რათა თავიდან იქნას აცილებული პროგრამის განხორციელებისას წარმოშობილი შესაძლო ფინანსური სირთულეები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით იკვეთება, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს თსუ-ში კოორდინირებას უწევს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/უნივერსიტეტის მართვის ორგანო, რომლის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა თსუ-ში სწავლებისა და

კვლევის ხარისხის ამაღლება და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ცხადია, რომ უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების გზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ/ ადმინისტრაციულ პერსონალთან თანამშრომლობით მონაწილეობს უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების მომზადებაში, სტანდარტებთან მიმართებით ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში, გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაში. რასაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას მარეგულირებელი დებულებები. კარგად არის დაგეგმილი განსახორციელებული პროცედურები, რის საფუძველზეც იწარმოებს მიმდინარე პროცესების შეფასება. შეფასების შედეგებზე დაფუძნებით კი მოხდება შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება პრინციპის "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" საფუძველზე.

ასევე მკაფიოა ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის მუშაობა, რომლის საქმიანობაში აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებში მონაწილეობა და კომიტეტის საქმიანობაში მათი ჩართულობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ მნიშვნელოვანი უკუკავშირის მიღებას, არამედ პროგრამის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლობის გაზიარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება რეგულარული პროცესია, რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები; როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები, რაც დასტუდება წარმოდგენილი დოკუმენტების პაკეტით და ინტერვიუებში გაჟღერებული ინფორმაციით.

გასაუბრებებით ასევე იკვეთება, რომ თსუ-ში სისტემატურად მიმდინარეობს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა (მათ შორის შეხვედრები ფოკუს-ჯგუფებთან), მათი კმაყოფილების კვლევა სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო ფონდებით და სხვ.

პერიოდულად მიმდინარეობს კითხვარების განახლება.
გამოკითხვის პროცესში ფაკულტეტი იყენებს, როგორც საუნივერსიტეტო დონეზე რეკომენდირებულ, ისე დამატებით კითხვარებს, რაც უკავშირდება დარგის სპეციფიკას.

ასევე საკმაოდ ეფექტურად მუშაობს კოლეგიალური შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების განმავითარებელ შეფასებას და წარმოადგენს აკრედიტაციის პროცესის ერთგვარ სიმულაციას. ეს კი მნიშვნელოვანია შიდა ხარისხის შეფასების როლის გაძლიერებასა და კულტურის ამაღლების პროცესში.

კოლეგიალური შეფასების პროცესში მიღებული რეკომენდაციები და რჩევები აისახება საგანმანათლებლო პროგრამის დახვეწისა და განვითარების პროცესში.
აქტიური დატვირთვა აქვს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მუდმივ რეჟიმში ხდება კონსულტაციების გაწევა აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალისთვის, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუდმივად, პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით მიმდინარეობს სწავლისა და სწავლების, კვლევის პროცესების, ადმინისტრირებისა და სერვისების ტრანსფორმირება ელექტონულ პორტალებზე.

სასწავლო და კვლევითი პროცესის ელექტრონულ პორტალებზე ტრანსფორმაციის მიზნით მომზადდა და განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ✓ ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების საუნივერსიტეტო წესის შემუშავება;
- ✓შეფასების სისტემის რეგულირება სასწავლო კურსებში;
- ✓აკადემიურ პერსონალს მიეწოდა ცალკეული სახელმძღვანელოები, ტუტორიალები და დოკუმენტები ელექტრონული სწავლების კონკრეტული ეტაპების იმპლემენტაციისათვის საგანმანათლებლო პროცესში; სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტთან თანამშრომლობით გაიმართა საწავლო პროცესი მართვის (lms) სისტემა და ელექტრონული სასწავლო პლატფორმა (Moodle);
- ✓განახლდა და აქტუალური თემებით დაიტვირთა კითხვარები, რომლის შედეგების ანალიზი ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად გამოიყენებულია ახალი ეტაპის დასაგეგმად და ელექტრონულ სწავლებაში გამოვლენილი სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად.

ხარისხის სამსახურის მიერ მომზადდა ელექტრონული სწავლების გზამკვლევი, MOODLE-ის პლატფორმაზე დავალების და ტესტების შექმნის სახელმძღვანელოები, ზუმში Breakout Rooms-ის და Poll-ის გამოყენების ტუტორიალები, ორგანიზება გაუკეთდა საჭიროებებზე დაფუძნებულ ტრენინგებს.
ამდენად, შიდა ხარისხის მექანიზმი დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისგან შემდგარ ციკლს გულისხმობს, რომლის მიზანია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესება.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის მიერ გამოსაყენებული ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმები გამართულია.

შეხვედრებისას ინტერვიუებში იკვეთება, რომ ერთობლივი სამაგისტრო - საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პირები იცნობენ ამ მექანიზმებს და მათ გამოყენებას ეფექტურად მიიჩნევენ პროგრამისა და თვითგანვითარებისათვის.

შიდა ხარისხის მექანიზმებით გამოვლენილი ხარვეზების განხილვა აქტიურად მიმდინარეობს თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის მიერ, ასევე ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე, მუშავდება ღირებული რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

ინტერვიუებში აღინიშნა, რომ პერსონალის შეფასების შედეგები გაითვალისწინება პროგრამის განვითარების პროცესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხიმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

აკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში სამუშაო ჯგუფთან ერთად ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები (კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, პროფესორები)

გამართულია ბსუს შიდა ხარისხის შეფასების სისტემაც.
წარმოდგენილი დოკემენტაციიათა და ორდღიანი გასაუბრებების ფორმატში გამოიკვეთა: ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებითა და „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებით.

ნათლად ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის მიმართულებები სტუდენტზეა ორიენტირებული და სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუჯობესებას ემსახურება. ასევე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა აქტიურ ჩართულობას; პერსონალის მაღალ კვალიფიკაციას; სასწავლო რესურსებისა და სერვისების მიწოდების მაღალ ხარისხს; სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციას; პერიოდულ და ეფექტურ მონიტორინგს, შეფასებას და რეაგირებას.

საგანმანათლებლო პროგრამა გამოიყენებს ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმებს, რაც ხორციელდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებული და მოქმედი ხარისხის პოლიტიკის შესაბამისად, იგი ეფუძნება ხარისხის დაგეგმვის, შეფასების, მონიტორინგის და გაუმჯობესების შესაბამისი პრინციპების უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს.

ამ პოლიტიკის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო სხვა აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას.

დოკუმენტების შესწავლა, გასაუბრების შედეგები აჩვენებს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლის დამოკიდებულებისა და შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, შეფასება და განვითარება, პერსონალის საქმიანობის, სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასება და სრულყოფა, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია, პერიოდული კვლევების წარმოება და რეკომენდაციების შემუშავება. მიმართულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან.

ბსუ-ში 2017 წლიდან მოქმედი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი ერთ-ერთი ის მექანიზმია, რომელიც ხელს უწყობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფას. შეფასება ხორციელდება ელექტრონული პლატფორმის - www.apa.bsu.edu.ge გამოყენებით.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით, შემუშავებული და განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები.
შეფასების პროცესში გამოიყოფა სამეცნიერო ნაშრომების საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირება, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია.
ამ მიმართულებით მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებებია:
1. სამეცნიერო ნაშრომები/გამოგონება/პატენტი (ქვემოთ მოყვანილია) ან ბ) ქვეპუნქტის შესრულება):
ა) სამეცნიერო ნაშრომების ინდექსირება Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში;
ბ) გამოგონების/პატენტის რეგისტრირება ეროვნულ ან საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში.
2. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა: სამეცნიერო ღონისძიების აბსტრაქტების გამოცემების ინდექსირება Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში;
3. გამარჯვებულ/დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში (საერთაშორისო, ეროვნულ ან/და საუნივერსიტეტო) მონაწილება ან/და შესაბამის საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების (80% და მეტი) მიღება;
4. სხვა სამეცნიერო აქტივობები: სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა, სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა, საბაკალავრო/სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სამეცნიერო სემინარების ჩატარება, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა, სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა ან მონოგრაფიის რედაქტორობა, სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება, საექსპერტო მომსახურება და სხვა;
შეხვედრებისას ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ ერთობლივ სამაგისტრო - საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პირები იცნობენ ამ მექანიზმებს და მათ გამოყენებას ეფექტურად მიიჩნევენ პროგრამისა და თვითგანვითარებისათვის.

შიდა ხარისხის მექანიზმებით გამოვლენილი ხარვეზების განხილვა მოხდება დეპარტამენტში, ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე, შემუშავდება რეკომენდაციები, რომლის საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის არჩევის წესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხიმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში სამუშაო ჯგუფთან ერთად ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები, პროფესორები) და კურიკულიუმის კომიტეტი.

თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ძალიან კოორდინირებულად და აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა: გადაიხედა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებსა და მიღწევის აქტივობებს შორის კავშირი, შეფასების კრიტერიუმებში მოხდა ცალკეული ხარვეზების გასწორება, მაგალითად, კურსში წერა ქსელური მედიისთვის/Writing for online media შეფასებაში ამოღებულ იქნა დასწრების კომპონენტის შეფასება, გადაიხედა სასწავლო

კურსების თემატიკა, დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა - მაგ: კურსში: მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები/Methods of communication and media research.

უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტურ განხორციელებასა და განვითარებას მონიტორინგს და კოორდინირებას უწევს, როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები/კოორდინატორები დარგობრივ დეპარტამენტებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორივე ინსტიტუციის წარმომადგენლებს შორის მუდმივი შეხვედრების ფორმატში აქტიურად მიმდინარეობდა სილაბუსების შემუშავება, აზრთა გაზიარება და კურსების თემატიკის, შინაარსის განსაზღვრა, შეჯერება. სწავლების მეთოდებზე, შეფასების კრიტერიუმებზე ინტენსიური მუშაობა.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და გასაუბრებებით იკვეთება, რომ ხარისხის შიდა შეფასების მიზნით აქტიურად გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემაც, რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონენტებს და ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს.

- **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - https://www.tsu.ge/ka/quality-assurance (ბოლი ნახვა 22.08.2021);
- თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საიტის რუკა (საჭირო მასალები) - https://www.tsu.ge/ka/quality-assurance/page/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%90 (ბოლი ნახვა 22.08.2021);
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება - https://tsu.ge/assets/media/files/46/1132017_d1.pdf (https://bit.ly/3AKERiW (ბოლი ნახვა 22.08.2021);
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფა - https://bit.ly/2Ui7apD (ბოლი ნახვა 22.08.2021);
- თსუ დოკუმენტი „ხარისხის შიდა უზრუნველყოფა, თსუ";
- თსუ განხორციელებული შეფასებები;
- თსუ გამოკითხვები;
- თსუ შეფასების წესი;
- თსუ შეფასების ფორმები;
- ბსუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ბსუ კურიკულუმის კომიტეტის შექმნის შესახებ;
- ბსუ პერსონ.საქმიანობა;
- ბსუ პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- ბსუ პროგრამის შემუშ. ცვლილების შესახებ;
- ბსუ პროგრამის შემუშავების წესი დადგ. N 37;
- ბსუ სამეცნიერო კვლევების განხორციელებსი პოლიტიკა;
- ბსუ სამეცნიერო მუშაობის შეფასების წესი;
- ბსუ სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ბსუ უნივერსიტ. მისია, სტრატეგია;
- ბსუ ხარისხის დებულება;
- ბსუ ხარისხის პოლიტიკა;
- ბსუ სამუშაო ჯგუფის დადგენილება

- ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციით მკაფიოდ ჩანს, რომ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის მომზადებისას ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიზნით, ორივე ინსტიტუციის მიერ სრულად არის გაზიარებული პარტნიორი უნივერსიტეტებისთვის საჭირო და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარე შეფასების შედეგები (აკრედიტაცია, მონიტორინგი, ავტორიზაცია); ასევე ორივე უსდს მიერ ცნობილია და სრულად არის გაზიარებული ყველა ტიპის ინფორმაცია პარტნიორ უსდ-ში გარე შეფასების ჩატარებისა და შესაძლო სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებასთან მიმართებით. ორივე ინსტიტუციის წარმომადგენლები აქტიურად მუშაობენ და უზიარებენ მეორე უსდს გარე შეფასების მიზნით შემუშავებულ სხვადასხვა აქტივობებს - პროგრამის განვითარების მიზნით. ორივე ინსტიტუცია რეგულრულად იყენებს ხარისხის გარე შეფასების შედეგებს (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა და სხვ.), განიხილავს მას და მიღებულ რეკომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამაში „ციფრული მედია და ინოვაციები“ გარე შეფასების ფარგლებში გაანალიზდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი მიღწევის კომპონენტები, სწავლება-სწავლის მეთოდები, სადაც ჩართული იყვნენ როგორც პოტენციური დამსაქმებლები, ასევე დარგის წამყვანი სპეციალისტები. მაგალითად, დამსაქმებლებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ მათი რეკომენდაციით პროგრამის სასწავლო კურიკულუმს დაემატა კურსი: გრაფიკული მედია/Graphic Media, რეპორტინგი ციფრულ მედიაში/Reporting for digital media

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის თავსებადობა შეაფასეს უცხოელმა გარე შემფასებლებმა - აშშ-ს უნივერსიტეტებისა და პოლონეთის რესპუბლიკის ვროცლავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა.

1. **ს. ლ,** , ორეგონის უნივერსიტეტის პროფესორი, აშშ.
2. **ჯ. კ,** სირაკუზის უნივერსიტეტი მედია სკოლა, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. აშშ.
3. **დ. მ.**, დეპოლის უნივერსიტეტი,, ჩიკაგო, აშშ;
4. **ა. ლ.,** ვროცლავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და სოციალური კომუნიკაციების ინსტიტუტი, სოციალური კომუნიკაციისა და მედია მეცნიერების სადისციპლინო საბჭოს თავმჯდომარე, პოლონეთი.

უცხოელი ექსერტების მიერ აღნიშნულია აშშ-ში მსგავსი პროგრამების შესახებ:
https://www.journalism.cuny.edu/future-students/
https://journalism.nyu.edu/graduate/# პროგრამები
https://journalism.missouri.edu/degrees-programs/graduate-degrees/masters/
https://www.medill.northwestern.edu/journalism/graduate-journalism/index.html

ინტერვიუებში პროგრამის ხელმძღვანელებთან გამოიკვეთა, რომ უცხოელი ექსპერტების მიერ მათთვის მიწოდებული რეკომენდაციების შესაბამისად, მოხდა დეზინფორმაციისა და ფეიკ ნიუსების, მედიაეთიკისა და კიბერკულტურის საკითხების ცალკეულ კურსებად წამოდგენა სასწავლო კურიკულუმში, ანუ სრულად არის გაზიარებული გარე შემფასებლების მიერ მოწოდებული რეკომენდაციები.

ასევე სრულად იქნა მიღებული უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციები სასწავლო ბაზის განახლებისა და სასწავლო ტექნიკით აღჭურვასთან დაკავშირებით:
თსუ-ში მულტიმედია ცენტრისთვის შეძენილი ტექნიკით,(სხვადასხვა გრანტების საშუალებით, მაგალითად: აშშ საელჩოს გრანტი "ასწავლე ჟურნალისტიკა ონლაინ") ხოლო ბსუ-ში არსებული ტექნიკური ბაზის განახლება იგეგმება უახლოეს მომავალში.

აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები - თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - https://www.tsu.ge/ka/quality-assurance (ბოლი ნახვა 21.08.2021); - თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საიტის რუკა (საჭირო მასალები) - https://www.tsu.ge/ka/quality- - assurance/page/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%90 (ბოლი ნახვა 21.08.2021); - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება - https://tsu.ge/assets/media/files/46/1132017_d1.pdf (https://bit.ly/3AKERiW) (ბოლი ნახვა 21.08.2021); - ხარისხის გარე უზრუნველყოფა - https://bit.ly/2VMNWsx (ბოლი ნახვა 21.08.2021); - „ციფრული მედია და ინოვაციების“ სამაგისტრო პროგრამის გარე ექსპერტის შეფასებები (4) დოკუმენტი); - ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html; (ბოლი ნახვა 21.08.2021); - საგანმანათლებლო პროგრამა - სასწავლო გეგმა (დანართი 1); - ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პროგრამის გარე შეფასებაში საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებებით ჩანს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება მუდმივი და უწყვეტი პროცესია, რაც საფუძველია

პროგრამაში ცვლილების შეტანისა - პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

ორივე უსდ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას მონიტორინგს და პერიოდული შეფასებას ახორციელებს სპეციფიური კრიტერიუმების და მონაცემების გამოყენებით. რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებენ:

ა) სტუდენტები;
ბ) პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი;
გ) დამსაქმებლები;
დ) პროგრამის კურსდამთავრებულები.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა ითვალისწინებს:

- სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების და/ან სასწავლო პროცესის შეფასებას LMS ელექტრონულ ბაზაში;
- სტუდენტთა კმაყოფილების შეფასებას LMS ელექტრონულ ბაზაში;
- სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზებას და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული კონცეპტუალური და ტექნიკური საკითხების განხილვაში მონაწილეობას; შეხვედრებს პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან და სხვა.
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტში ჩართულობას და სხვა.

გამოკითხვის შედეგები შემდეგ ეგზავნება პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც კომიტეტის სხდომაზე განიხილავს და სათანადო რეაგირების მიზნით შეიმუშავებს სათანადო ღონისძიებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან, კოლეგიალური ურთიერთდასწრება, კონსულტაციები საერთაშორისო ექსპერტებთან და გარე შეფასების ანალიზი, პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი, შრომის ბაზრის და საგანმანათლებლო ბაზრის ტენდენციების ანალიზი.

აკრედიტაციის მზადების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;

ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან აკრედიტაციაზე წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მზადების პროცესებთან დაკავშირებით;

მოეწყო აკრედიტაციაზე წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამის განხილვები პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების სხდომებზე;

გასაუბრებისას ინტერვიუერებმა აღნიშნეს, რომ „ციფრული მედიისა და ინოვაციის“ პროგრამის დადარება მოხდა უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რაც ხელს შუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას/საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას.

ამ მხრივ ინსტიტუციებს აქვთ კარგი კონტაქტები საერთაშორისო პარტნიორებთან, რაც ხელს უწყობს უცხოური უსდების პროგრამების კურუკულუმების ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმის მუდმივ მოდიფიცირებას.

საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს უნივერსიტეტების ბიუჯეტები.

უნივერსიტეტების ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები მიმართულია პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, უნივერსიტეტებისს პროფესორთა კვლევითი საქმიანობის და სტუდენტთა მიერ სამეცნიერო–კვლევითი ხასიათის ნაშრომების შესრულების ხელშეწყობაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, პროფესორ–მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა–დაბეჭდვაზე.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, პარტნიორი უნივერსიტეტების/ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ახორციელებენ სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც გულისხმობს პროგრამის განხორციელების პროცესში მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს.

სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით პარტნიორი უნივერსიტეტების/ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები.

მოქმედებს სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა.

პროგრამის განხორცილების პროცესში, სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრებები ცხადყოფს, რომ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ყველა მექანიზმი და მიდგომა ორივე პარტნიორ უნივერსიტეტში კარგად არის დამუშავებული და გააზრებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების შედარების დოკუმენტი;
- აშშ-ს საელჩოს მხარდამჭერი წერილი;
- ციფრული მედია და ინოვაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა(დანართი1);
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ფორმები;
- დასაქმების ბაზრის კვლევა;
- პერსონალის CV-ები;

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“; - სტუდენტთა გამოკითხვები https:// portal.bsu.edu.ge/ (ბოლი ნახვა 21.08.2021); - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადე¬მი¬უ¬რი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვი¬თა¬რე¬ბის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“; - დასწრების ოქმი; - კურსდამთავრებულთა კითხვარი; - პროფესორ-მასწავლებელთა კითხვარი. - ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ციფრული მედია და ინოვაციები, სამაგისტრო

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 55 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნინო დანელია 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი:

თინა ცომაია

დავით მღებრიშვილი 

მალხაზ გაგუა 

ირმა ქურდაძე